

შპს „ბეიკერტილი ჯორჯია“-ს

სპეციალური დანიშნულების ფინანსური
ანგარიშგება

<u>სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....</u>	<u>3</u>
<u>სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგება</u>	<u>4</u>
<u>საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება</u>	<u>5</u>
<u>ახსნა-განმარტებითი შენიშვნები</u>	<u>6</u>
1. კომპანია და მისი საქმიანობა.....	6
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	6
3. ძირითადი საშუალებები	9
4. არამატერიალური აქტივები.....	10
5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.....	10
6. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	10
7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	10
8. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.....	11
9. ფინანსური შემოსავალი.....	11
10. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	11
11. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები	11

შპს „ბიკერ ტილი ჯორჯია“

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		65,985	78,226
არამატერიალური აქტივები		7,310	7,708
სულ გრძელვადიანი აქტივები		73,295	85,934
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები		644	1,527
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		337,625	241,638
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		1,707,599	1,519,505
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,045,869	1,762,670
სულ აქტივები		2,119,163	1,848,605
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,250	1,250
გაუნაწილებელი მოგება		1,915,970	1,600,176
სულ საკუთარი კაპიტალი		1,917,220	1,601,426
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება		201,944	247,179
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		201,944	247,179
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2,119,163	1,848,605

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 30 სექტემბერი .

ბატონი ივანე ჯელია, გენერალური დირექტორი

11. 

შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯია“

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგება

შენიშვნა	31.12.2024 დასრულებული წლისათვის	31.12.2023 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი მომსახურების გაწევა/საქონლის რეალიზაცია	2,958,324	2,477,223
სულ შემოსავალი	2,958,324	2,477,223
შრომის ანაზღაურება	(1,713,299)	(1,492,603)
კომუნიკაციის ხარჯი	(14,490)	(13,553)
ცვეთა და ამორტიზაცია	(16,294)	(13,335)
დაზღვევის ხარჯი	(44,273)	(48,997)
იჯარის ხარჯი	(133,793)	(130,049)
საწვავი	(10,870)	(11,539)
სწავლის ხარჯი	(8,948)	(9,700)
საწევრო	(24,548)	(35,652)
კონფერენციის ხარჯი	(11,885)	(5,270)
სხვა ხარჯი	(191,126)	(180,635)
ფინანსური ხარჯი	4,601	31,960
სულ ხარჯი	(2,164,923)	(1,909,372)
მიმდინარე წლის მოგება	793,400	567,851

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 30 სექტემბერი .

ბატონი ივანე ჯელია, გენერალური დირექტორი



შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯია“

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარი	1,250	1,465,112	1,466,362
2023 წლის სრული მოგება	-	567,851	567,851
დივიდენდი	-	(432,787)	(432,787)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	1,250	1,600,175	1,601,425
2024 წლის სრული მოგება	-	793,400	793,400
დივიდენდი	-	(477,606)	(477,606)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	1,250	1,915,969	1,917,219

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და
ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 30 სექტემბერი .

ბატონი ივანე ჯელია, გენერალური დირექტორი



ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯია“ (კომპანია) დაარსდა 2003 წლის 24 ნოემბერს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო კოდი: 211325056). კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სააღრიცხვო, საბუღალტრო და სააუდიტო საქმიანობები; საგადასახადო კონსულტირება. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ., №41

2024 წლის 31 დეკემბრამდე კომპანიის დამფუძნებელია:

სახელი და გვარი	წილის პროცენტული ოდენობა
ივანე ჯელია (პნ 01011028970)	47
ბესიკ ბისეიშვილი (პნ 01031000474)	47
დიმიტრი შავლაძე (პნ 01024025821)	6

კომპანიის მაკონტროლებელი პირი არ ყავს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გასაჯაროების და ვებ გვერდი reportal.ge ატვირთვის მიზნით. სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ელემენტების: აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის მუხლების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუკოს მიერ გამოშვებულ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (შემდგომში ფასს) და მათი მომზადების კონცეპტუალურ საფუძვლებთან, თუ ქვემოთ ჩამოყალიბებულ ცალკეული ფინანსური ელემენტების სააღრიცხვო პოლიტიკაში არ იქნა სპეციფიკურად სხვაგვარად მინიშნებული.

გარდა ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებისა, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია ფასს-ებით განმარტებული დარიცხვისა და ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპები.

აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებისას გამოყენებულია ფასს-ების კონცეპტუალური საფუძვლებით განმარტებული პირვანდელი ღირებულების მეთოდი.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ლარში. ცალკეულ ფინანსურ ელემენტთან დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.2 შემოსავლის აღიარება.

გაყიდული მომსახურების აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს და ფასდათმობის გარეშე.

2.3 წარდგენის ვალუტა.

ჯგუფის თითოეული წევრის ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (“ქართული ლარი”).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკუროს სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების

შედეგად წლის ბოლოს სეზონის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორის ოპერაციების შედეგად, აშშ დოლართან მიმართებაში იყო შემდეგი:

	2024
1 იანვარს	2.8068
31 დეკემბერს	2.9306

2.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთისა ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ისტორიული თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაყირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე ჯგუფის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
საოფისე აღჭურვილობა	3 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3 წელი

2.5 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი.

2.6 არამონეტარული აქტივების გაუფასურება

ის არამონეტარული აქტივები რომელთაც არ აქვს განსაზღვრული ცხოვრების ხანგრძლივობა და ასევე ის აქტივები რომლებიც არიან მზად გამოყენებისათვის არ ერიცხება ცვეთა ან ამორტიზაცია, ისინი ექვემდებარებიან გაუფასურების ყოველწლიურ ტესტირებას. ეს აქტივები რომლებიც ექვემდებარებიან ცვეთას და ამორტიზაციას ექვემდებარებიან გაუფასურებაზე ტესტირებას მაშინ როდესაც გარკვეული მოვლენა ან ნებისმიერი პირობის ცვლილება მიუნიშნებს რომ შესაძლებელია მისი საბალანსო ღირებულება ვერ იქნას ამოღებული. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ სხვაობის ოდენობით რაც არსებობს შეფასებულ ამოღებად თანხასა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის. ამოღებადი თანხა წარმოადგენს უდიდეს თანხას გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ტესტირების მიზნით აქტივები ჯგუფდება უმცირესი ჯგუფის დონეზე რომლის დონეზეც იდენტიფიცირდება განცალკევებული

ფულადი ნაკადები. ყოველ საანგარიშო პერიოდზე გაუფასურებული არაფინანსური აქტივები გარდა გუდვილისა მიმოიხილება გაუფასურების შეზღუდვების გაუქმების მიზნით.

2.7 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება ინდივიდუალური დანახარჯების და საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2.8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

მომსახურების გაწევით და საქონლის მიწოდების შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ მათი ამოღებადობა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან მოთხოვნებად შესაბამისად.

2.9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

მომსახურების ან საქონლის შესყიდვის შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა დაავალიანებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ მათი გადახდა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად შესაბამისად.

2.10 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.11 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.

გადასახდელი ხელფასები, წლიური შევებულება და ავადმყოფობის გამო შევებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ ჯგუფის დაქირავებული მომუშავეები. ჯგუფს არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.12 ურთიერთგადაფარვა.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯია“

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება				
01.01.2023	224,551	33,391	127,017	384,960
შეძენა	26,936	-	-	26,936
31.12.2023	251,487	33,391	127,017	411,896
შეძენა	3,655	-	-	3,655
31.12.2024	255,141	33,391	127,017	415,550
ცვეთა				
01.01.2023	191,101	23,673	105,961	320,735
პერიოდის ცვეთა	12,936	-	-	12,936
31.12.2023	204,037	23,673	105,961	333,671
პერიოდის ცვეთა	15,895	-	-	15,895
31.12.2024	219,932	23,673	105,961	349,566
წმინდა საბალანსო ღირებულება				
01.01.2023	33,450	9,718	21,056	64,225
31.12.2023	47,450	9,718	21,056	78,225
31.12.2024	35,209	9,718	21,056	65,984

შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯია“

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა
ისტორიული ღირებულება	
01.01.2023	62,722
შემენა	-
31.12.2023	62,722
შემენა	-
31.12.2024	62,722
ცვეთა:	
01.01.2023	54,616
პერიოდის ცვეთა	399
31.12.2023	55,015
პერიოდის ცვეთა	399
31.12.2024	55,414
წმინდა საბალანსო ღირებულება:	
01.01.2023	8,106
31.12.2023	7,707
31.12.2024	7,308

5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31.12.2024	31.12.2023
სხვა მარაგები	644.00	1,527.00
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	644.00	1,527.00

6. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	281,922	241,638
გადახდილი ავანსები	55,703	-20
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	337,625	241,638

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	540,572	649,248
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	1,167,027	870,257
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,707,599	1,519,505

8. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	63,175	46,402
მიღებული ავანსები	138,769	200,777
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	201,944	247,179

9. ფინანსური შემოსავალი

	31.12.2024 დასრულებული წლისათვის	31.12.2023 დასრულებული წლისათვის
მოგება საკუროსო სხვაობიდან	(10,838)	7,779
საპროცენტო შემოსავალი	15,439	24,181
სულ ფინანსური შემოსავალი	4,601	31,960

10. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

„დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დამფუძნებლებთან და დირექტორებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

დამფუძნებლები-
ძირითადი მენეჯმენტი

მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (ხარჯი)	171,287
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (გადასახდელი)	-

2023 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დამფუძნებლებთან და დირექტორებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

დამფუძნებლები-
ძირითადი მენეჯმენტი

მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (ხარჯი)	108,431
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (გადასახდელი)	-

11. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2025 წელს ფინანსური ანგარიშის დამტკიცებამდე კომპანიამ გაანაწილა დივიდენდები 315,703 ოდენობით.

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბრის კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამომგების შემდეგ.